



მიტროპოლიტმა ილარიონმა დაასახელა ის თემები, რომლებიც ღირს იმად, რომ სახელმწიფო დუმის ახალი მონვევის დეპუტატებმა ყურადღება მიაქციონ



„კანონმდებლობა მოითხოვს მუდმივ სრულყოფას – მასში ბევრი ხვრელია, რომელიც სახელმწიფო დუმის ახალი მონვევის მიერ უნდა აღმოიფხვრას – მიაჩნია ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს.

სატელევიზიო გადაცემის „ეკლესია და მსოფლიო“-ს წამყვანის ე. გრაჩევას კითხვაზე პასუხის გაცემისას, მწყემსთმთავარმა აღნიშნა სამი ძირითადი სფერო, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს საკანონმდებლო საქმიანობაში. მისი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა – ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობაა: „ეს პირველ რიგში იმ ადამიანებს ეხება, ვინც სოციალური პირამიდის ბოლოში ან ბოლოსთან ახლოს არიან. მათ შორის არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მოხუცები და ზოგადად ღარიბები – ერთი სიტყვით, ვისაც არ ყოფნით ფული საცხოვრებლად. მე ვფიქრობ,

კანონმდებლობა მუდმივად უნდა სრულყოფილდებოდეს, რათა ჩვენს სამშობლოში თითოეულმა ადამიანმა ღირსეულ დონეზე იცხოვროს“.

„მეორე სფერო, სადაც ჩვენს კანონმდებლებს შეუძლიათ და უნდა გამოიყენონ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობები, - ეს არის ზნეობრიობა, - კონსტატირება მოახდინა მიტროპოლიტმა ილარიონმა. - კანონმდებლობა არ შეიძლება განვიხილოთ მორალისგან განცალკევებით. თუ ჩვენ მივიღებთ ღირებულებებს, რომლებსაც ძალიან ხშირად თავს გვახვევენ დასავლეთის ლიბერალური საზოგადოებები, ჩვენი ქვეყნისთვის ეს გახდება გზა არსაით. ჩვენ ყველამ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ტრადიციული ზნეობრივი ფასეულობები, რომლებზეც საუკუნეების მანძილზე იგებოდა კაცობრიობის ცხოვრება, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, უნდა განვითარდეს ყველა შესაძლო გზით და უპირველეს ყოვლისა მასმედიის საშუალებით“.

გაიხსენა რა რამდენიმე დღის წინ პერმში მომხდარი ტრაგედია, როდესაც ახალგაზრდამ იარაღი აიღო და უდანაშაულო ადამიანებს ესროლა უნივერსიტეტში, მიტროპოლიტმა ილარიონმა თქვა: „უნდა მივიღოთ გარკვეული საკანონმდებლო ზომები, რომლებიც გამოორიცხავს ასეთი უგუნურების მიერ იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. მე არ მესმის, საერთოდ რატომ უნდა იყიდებოდეს იარაღი ჩვეულებრივ სამოქალაქო პირებზე. საჭიროა, რომ ჩვენმა კანონმდებლებმა იფიქრონ ამაზე“.

როგორც იერარქმა აღნიშნა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც მოითხოვს ხელისუფლების ყურადღებას, - ეს არის შობადობა. ამასთან მოცემული პრობლემის გადაწყვეტა მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის კეთილდღეობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. მეუფე ილარიონმა აღნიშნა: „ჩვენს ქვეყანაში დაბალი შობადობაა. საკანონმდებლო ზომები, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რათა შობადობა გაიზარდოს, გადაუდებლად უნდა იქნეს მიღებული, რადგან თუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შემცირდება, ადრე თუ გვიან სხვა ხალხი მოვა ჩვენს შესაცვლელად, რომლებიც დაიპყრობენ ჩვენს ქვეყანას და მისი პატრონები“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური